

# საქართველოს ზელოციური გეგმითა და ზელოციის საკითხთა სასულიერო სააგენტოს კითხვითი დეკლარაცია

## “ქალა - შვილის ფსანა”

თბილისი 2015 წლის 7 მარტი

### პრეამბულა

### მუხლი 2

საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებები

**ვალდართ რა,** რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას - საკუთარ რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად თავისუფლად განსაზღვრონ ქალისა და მამაკაცის რელიგიურ-ანთროპოლოგიური ღირსება;

**ვალდართ რა,** საერთო საკაცობრიო ზნეობრივ ფასეულობებს, მათ შორის, ქალთა უფლებებს;

**ვალდართ რა,** რომ ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის მიუღებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ჩაგვრის ნებისმიერი ფორმა;

**ვალდართ რა,** რელიგიურ გაერთიანებათა დოქტრინების შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით განმტკიცებულ, ადამიანის უფლებებს, როგორც მნიშვნელოვან სამოქალაქო ფასეულობას

**ვაცხადებთ წინამდებარე დეკლარაციას**

1. საზოგადოებაში არსებული გამოწვევების დასაძლევად, ადამიანის ღირსების აღიარებისა და რელიგიათა დოქტრინების შესაბამისად სოლიდარული სულისკვეთების განმტკიცებისთვის, ხელმომწერი რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსთან ერთად:

ა. საკუთარი შეხედულებითა და რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად მხარს დაუჭერენ ქალთა უფლებების აღიარებასა და დაცვას;

ბ. გმობდნენ და კვლავაც დაგმობენ ქალთა მიმართ განხორციელებული ადამიანის ღირსების შემლახველი ძალადობის, ჩაგვრისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმას;

გ. შეუქმნიან ყველა საჭირო პირობას და განსაკუთრებით იზრუნებენ სოციალურად დაუცველ ქალებზე, ორსულ ქალებზე, მრავალშვილიან დედებზე, მოხუცთა თავშესაფრების ბინადარ და სამედიცინო დაწესებულებებში მყოფ ქალებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ და პრობაციონერ ქალებზე;

დ. საკუთარ მრევლში და საზოგადოებაში წახალისებენ ადამიანის ღირსების აღიარებისა და სოლიდარობის სულისკვეთებას;

ე. საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივ სწავლებათა გათვალისწინებით, ხელს შეუწყობენ კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობას.

### მუხლი 1

სეკულარიზმის პრინციპიდან გამომდინარე რელიგიური გაერთიანებები სარგებლობენ ხელშეუხებელი ავტონომიურობით და უფლებით იქონიონ, ჩამოაყალიბონ და გაავრცელონ საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივი სწავლება ქალის რელიგიურ-ანთროპოლოგიური ღირსების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გამოცხადებული მიზნების მისაღწევად ხელმომწერი რელიგიური გაერთიანებები, საკუთარი შეხედულებითა და რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, ერთობლივად, განხორციელებენ სათანადო ღონისძიებებს.

### მუხლი 3

წინამდებარე დეკლარაცია ხელმოსაწერად ღიაა საქართველოში რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებებისთვის.

- |   |  |
|---|--|
| ▪ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო                                 | /სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე/ |
| ▪ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია           | /მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)/          |
| ▪ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო                              | /შეიხი რამინ იგიდოვი/                  |
| ▪ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია                   | /ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო/             |
| ▪ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია | /ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი/       |
| ▪ საქართველოს ებრაელთა კავშირი  | /რაბინი რახამინ მურდუხაშვილი/          |
| ▪ ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში                                   | /საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ფირბარი/   |
| ▪ საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია                                | /ეპისკოპოსი ჰანს-იოახიმ კიდერლენი/     |
| ▪ საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია                              | /მთავარეპისკოპოსი მერაბ გაფრინდაშვილი/ |
| ▪ საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია                           | /უფროსი პასტორი გიორგი ჩიტაძე/         |
| ▪ საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია                                 | /ეპისკოპოსი ოლეგ ხუბაშვილი/            |
| ▪ მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიტთა ეკლესია                              | /მღვდელმსახური ბორის ჭარაია/           |
| ▪ სულიერ ქრისტიან-მოლოკანთა თემი  | /სვეტლანა აპრიამოვა/                   |

